

1907

მეცემსი

საქართველოს
საზოგადოებრივი
საბჭოთაო
საბჭოთაო

მისი სახ. ...
21/1252
9

მწევენსან კეთილმან სული
თვისი დაჰსდვის ცნოვართათვის
იონან. 10—11

№ 21

1883—1907 წ.

15 ნოემბერი

მზარე მთხრობი

კვირა დღეა. სიონის ტაძარში რალაცა მზადე-
ბაა. შესანიშნავი დღესასწაული არაფერია. წირვაზე
მოვლიან ნამესტნიკს, ალბად რალაცა ამბავია. ნა-
მესტნიკი, რომ დაიძვრის და ეკკლესიაში წაბრ-
ძანდება, უთუოდ რალაცა შესანიშნავი საქმე სრულ-
დება. მიკვირს, რომ ხალხს სრულებით არა ეტყო-
ბა-რა. ამ კვირას უფრო ნაკლებია ხალხი ვინემ
სხვა კვირა დღეებზე. ეკკლესიაში და გარეთ პო-
ლიციელები ყველას თვალყურს აღდევნებენ. რა
ამბავია? ვკითხვ ერთს, ორს, სამს. ერთმა მითხრა:
როგორ არ უცი, დღეს ეპისკოპოსად აკურთხებენ
არხიმანდრიტს დავითს (კაქაიძეს) მე ეს ამბავი არ
ვიცილი. ენლა კი მესმის რატომ მოზობანდება ნა-
მესტნიკი ეკკლესიაში. რასაკვირველია, დიდი შემ-
თხვევა ყოფილა. მაგრამ მიკვირს, რომ ხალხი
სრულებით არ არის. რაცა გაიგებდნენ წინეთ
ეპისკოპოსად ვისმეს კურთხევას ისე გაიქედებოდა
ხალხით ეკკლესია, რომ შესვლა ეკკლესიაში აღარ
შეიძლებოდა. დღეს სულ სხვას ვხედავთ. რა
ამბავია ნეტავი? ნუ თუ ჩვენი ხალხი ასე გამოიც-
ვლა ამ ცოტა ხანში, რომ სრულებით სინტერე-
სოდ აღარ მიაჩნია ეპისკოპოსად არჩევის და კურ-
თხევის ცერემონიის შეხედვა. ჰე, ამ ოხერმა დრომ
ყველას შეურყია გონება...

გამობრძანდენ მღვდელ-მთავრები ძვირფასად
შემოსილნი და დაბრძანდენ საინახეზე. ეპისკო-
პოსად სეკუარტის ახალგაზრდა არხიმანდრიტს მო-
უძღვის ტრაპეზიდან კარგა ხნის გაჭადარებული
არხიმანდრიტი და დააყენებს მღვდელთ-მთავრების
წინ. ვკითხვ ერთს ჩემთან მდგომ სამღვდელთა პირს,
ამ ახალგაზრდა არხიმანდრიტის კურთხევას უმჯო-

ბესი არ იყო ეს ხნიერი არხიმანდრიტი ეკურთხე-
ბით, თუ სწავლა აქვს? კი, მაგრამ არჩევაზეა საქ-
მე, ვისაც ისურვებენ ის უნდა იყოს ეპისკოპოსად.
ლიად, მართალია, სწორედ ავრე უნდა იყოს. უპი-
რატესმა მღვდელთ-მთავარმა განუცხადა ეპისკოპო-
სად ხელ დასახსმელს არხიმანდრიტს. „ალავერდის
სამწყსო გირჩევს თქვენ მღვდელთ-მთავრად და
თანახმა ხართ თუ არა? ღვთის შეწვევით თანახმა
ვარ და არაფერი საწინააღმდეგო სათქმელი არა
მაქვს, მიუგო მან. მერმე სხვა კითხვები მისცეს
და ყველაზე პასუხი მიუგო. შეაბრუნეს ტრაპეზში
ისევ და წირვა დაიწყეს...

მე რალაც ახირებულმა აზრებმა გამიტაცეს
და ზოგიერთი რამ არ მომეწონა. ჩემს გულს ვებ-
ტობოდი. რა საქირია, რომ მკითხველიც და მიმ-
გებიც წიგნებში ჩაწერებიან ხოლმე და ისე იძლე-
ვიან კითხვას და მიგებას? ნუ თუ ზებირად არ იციან
მკითხველმა კითხვები და მიმგებმა—მიგებანი?... ალა-
ვერდის სამწყსომ ავიჩინათ თქვენ მღვდელთ-მთავრად
და გსურსთ და თანახმა ხართ თუ არა, —კითხა უპი-
რატესმა. მე ვიფიქრე გულში უარი, რომ განაც-
ხადოს, როგორც ძველ დროში იცოდენ, ნეტავი
რა იქნება მეთქი. ძველ დროში სამწყსო აირჩევდა
თუ არა საეპისკოპოსო კანდიდატს ხშირად უარს
განუცხადებდენ და თუ მაინც არ მოეშებოდენ
მაშინ სულ გადიკარგებოდენ. სანამ სხვას არ აი-
რჩევდნენ არ გამოჩნდებოდენ. ესლანდელი დრო
სულ სხვაა... არ გვიჩახავს ერთი ვინმე, რომ უარი
ეთქვას ეპისკოპოსობაზე. უარი ეთქვას კი არა თუ
ვინმე შეეცალა, ვი მისი ბრალი, ელახა დღეს
დააყენებენ!.. ან კი ძველ დროში გლახადღვთი-
ვით რათ ისურვებდენ მღვდელთ-მთავრობას. რა
სანატრელი თანამდებობა იყო? თანამდებობა დი-

დია და საპატრიო, მაგრამ განა რიგიანად ეპყრობოდენ მღვდელთ-მთავრებს? ვინ იყო უკეთესი მოქალაქე, სიმართლის მთქმელი და სარწმუნოების მქალაქებელთ იოანე ოქროპირზე მეტი? მაგრამ როგორ მოექცენ მის? დატუხალბული და გაძევებული ხაშშიან ადგილებში სიარულის დროს სასტიკად შეიქნა ავად, მაგრამ მიანც არ გააჩერეს არსად. რამდენი იწვალა და იტანჯა სიმართლის თქმისათვის, მაგრამ ვინ დააფასა! საზოგადოდ მღვდელთ-მთავრები ძველ დროში დიდეს გაქირვებით სცხოვრებდნენ. ესლა სულ სხვა არის. ჯამაგირების უმეტესის მოთხოვნა აღარ შეიძლება. წინეთ სახელ განთქმული პატრიარქები სცხოვრებდნენ შეძლების უქონლობისა გამო მეტის მეტად უზბარლოდ. კელიებიც სულ სხვანაირი ჰქონდათ. დღეს სულ სხვა არის, სხვა მოთხოვნილება და სხვა წეს-წყობილება. დღეს რომ ერთი მიტროპოლიტი აიღებს ჯამაგირს ძველ დროში ათი პატრიარქი ვერ მიიღებდა იმდენ ფულს. ჯილდოები და პრაგონები" სულ სხვაა.. ესლა რომ ექსარხოსი დაიბარონ პეტერბურგში წყასვლელ პრაგონს აიღებს შეიდას მანეთზე მეტს ხაზინიდან. დაწვება მშვენიერ ვაგონის „კუბეში" და მესუფე დღეს პეტერბურგში ჩავა, არც დადღვდა და არაფერი. მე ვეტყვი თქვენ სასმელ-საქმელს ვერ იოვშის გზაში! დაეხარჯება სულ 80 მანეთი და სხვა ფულები ჯიბეში დარჩება. იოანე ოქროპირის დროს ვაგონით ეს არა ჯორზე ან ვირზე უნდა შემეძლიაყვი და გვეყო მტყვრიან გზაში.. პრაგონის ფულს ვინ მოგცემდა?..

ყოველივე საშუალებას და ღონეს, რომ ხნარობენ მიტროპოლიტად განლობისათვის რატომ სურთ ეს თუ იცი? მისთვის, რომ მიტროპოლიტობა დღეს რუსეთში დიდი ბატონობაა. ამას გარდა დიდი შემოსავალი აქვს. ნეტარსენებულს თეოგნოსტეს კიევის მიტროპოლიტს, რომელიც უკუყრად გარდაიქცალა, როცა მისი დაშინილი ქონება აღწერეს ერთ მილიონამდე ადამიუნდა და ფულები. ეს ფულები მთლად მის მონათესავეებს ვარდაცვა. ერთ პატრიარქს უცხოეთში ამას წინად კაბა-ანაფორის მეტი არა დარწინარა. რომის პაპასაც არ შეუძლიან შევიდაროს შემოსავლით ჩვენს მიტროპოლიტებს. საბერძნეთში და უცხოეთში, ფრანგების სამღვდლოებაში, ახირებული წეს-წყობილებაა. სასულიერო პირის დაშინილი ქონება გარდაცვალების შემდეგ ყოველივე მკალვისა და მონასტრის რჩება, რადან მათ შვილები არა ყავთ. ჩვენს სახელმწიფოში, რასაკვირველია „უკეთ" არის დაყენებული საქმე.. უზბარლო ბერების ქონება უთუოდ მონასტრის უნდა დარჩეს, მაგრამ ების-

კოპოსების და მიტროპოლიტების ქონება მთლად მათ შვილებს და ნათესავეებს უნდა გადაეცეს..

უკაცრავად, პატივცემულო, მკითხველო. ფქრებმა ვამიტაცეს შორს. დაუბრუნდეთ ისევე ჩვენს საბაბა ფიქრებს. აგერ ხუთი ებისკოპოსი აიყვანეს ალავერდის კათედრაზე, მაგრამ ალავერდის სამწყოსს არა გაუფიარა.

რამდენი ხანია რაც ალავერდის კათედრა დაობლებული იყო? ვინ მოითხოვა ამ კათედრის აღდგინება? სამწყსომ? სრულებით არა. ეს კათედრა გახსნეს ბესარიონ ებისკოპოსისათვის, თორემ სამწყსოზე ვინ ეფქრბდა? ებისკოპოსები გორისა და ალავერდისა ექსარხოსს თუ დააშვენებდენ წირვაზე, თორემ გორში და ალავერდში არასოდეს არ ბზანებულან და არც ერთ მოთგანს ბინადრობა არ ჰქონია სხენებულ სამწყსოთა შორის. ალავერდში ზაფხულობით მიდიოდენ „საგრილებლად". მოუწახეს თუ არა ადგილი ბესარიონს თითქმის დაიხურა ალავერდის კათედრა. ფლობიანემ ერთხელ მიიხრა: „რა საქირთა იარი ქორ-ებისკოპოსი როცა ერთის გასაკეთებელი არა არის რა". მაგრამ პოლიტიკური მოსახზებით საქირად დაინახეს ქორ-ებისკოპოსად დავნიშნათ რუსი (მართლაც ინოროდციის ებისკოპოსობა ვის გაუფიარია) დანიშნეს გორის ებისკოპოსად რუსთავანი. დიწყეს მღურება თუ ქართვლის რათ წარათვის გორის ებისკოპოსობა, მაგრამ ეს მღურება საიდუმლოთ იყო და არავისთვის არ გაუშეკლიათ. ამის თაობაზე ერთველ ექსარხოსთან მყოფდენ რამდენიმე პირნი, მაგრამ ჩიის მართმევის შემდეგ, ის რაზედაც იყვენ მისულნი, დაიწყეს და ლოცვა კურთხევის მიღების შემდეგ ნასისამამოვნევი თავის ბინაზე წანრძანდენ. ამ ამბების შემდეგ ქვაშუეთის ეკლესიის წინამძღვარ-ველარავინ ნახა. ყველანი კითხულობდენ და მწახვილი ეს არავინ იყო. ზოგიერთები იტყოდენ ხოლმე: შეიძლება ხორციელად იყოს აღტაცებული ზეცასა.. თორემ ზეცას ეს არა პიტერში ყოფილიყო საიდუმლოდ მიწვეული! პიტერშივე მოხდა მისი აღრჩევა ალავერდის სამწყსოსაგან.. განეშორა რა თავის სამწყსოს მადლობა გამოუცხადა მის ჩვეულებისსაშვრს. სამწყსო განაცხადდეს: ჩვენ არავის თქვენი არც შემოსულა ვაგვიფიარა და არც ვასვლით და რისთვის გვეუბნებით მადლობასაო?... დიალ, ესლანდელ დროში რომ ყოფილიყო კრილოვი შესანიშნავ რამეებს დასწერდა...

სოფლას ხუტკისი.
გაგრძელება იქნება.



მართული სამეკლესიო გავლენა ქუთაისში.

მგონი, ბევრი მტკიცება არ დასჯირდება იმას, რომ საეკლესიო გავლენის დიდი მნიშვნელობა აქვს წირვა-ლოცვისა და სხვა ღვთის მსახურების დროს: ის ასპეტაკებს, ავთენტურობებს, ამაღლებს ადამიანის სულს და ღრობით მაინც ავწყებინებს ამ ქვეყნიურ სიღუბეში. რაც უნდა ურწმუნო იყოს ადამიანი, მაინც რაღაც სასიკეთესს გრძნობს, როდესაც კარგ სასულიერო გავლენას ისმენს. ეს ძლიერ კარგად ესმოდა ჩვენს წინაპრებს და სასულიერო გავლენის დიდს ყურადღებას აქცევდნენ, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ამ ოცის, ოცდა-ოარი წლის წინადაც კი ქართული გავლენის მკოდნეთ ფულს აძლევდნენ სოფლის გლეხები და გავლენას სწავლობდნენ; თავადაზნაურობისაჟის ხომ სირცხვილიც იყო საეკლესიო გავლენის უტოდინარობა. სოფლებშიაც კი იშვიათად მოიძინებოდა ისეთი ღარიბი ეკლესია, რომ მგალობლები არ ყოფილეს. მგალობლებად ითვლებოდნენ სოფლელი გავლენის მოყვარენი, რომელთაც თითქმის არავითარი ჯილდო არ ეძლეოდათ, გარდა საპატრო სახელისა და მოწონებისა. ვის არ გაუგონია, მგაღითად, კანდლაკების, დუმბაძეების, ქალაგანიძეებისა და სხვათა გვარები, რომელნიც იმერეთ-გურია-სამეგრელოში საუკეთესო მგალობლებად ყოფილან ცნობილნი.

სამწუხაროდ, რაც დრო მიდის, ჩვენს საეკლესიო გავლენას საზოგადოების ყურადღება აკლდება, წინანდელი მნიშვნელობა ეკარგება. ესხლი იშვიათად ვისმენთ, განსაკუთრებით სოფლებში, ხეირიანს ქართულ გავლენას წირვა-ლოცვის დროს. მგალობლების გუნდის ადგილზე დღას ერთი მიძინარა მდღავითენ, რომელიც თვალდაზრტული საცოდავის ხმით კნავის და სასიკეთის ნაცვლად თავისადმი სიბრალულს იწვევს მაყურებლებში. თითქმის ასეთსავე არა სასურველ მოვლენას ვხედავთ ქალაქებშიაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ „უფალო, შევეციწყალენ“-ს. ან „თებე, ღოსპოდი“ დრიალებს გულის შეშზარავ ხმით.

ქუთაისში მხოლოდ საკათედრო ტაძარში თუ შეხვდებით ხანდისხან 4—5 ღლიკენისაგან შემდგარს მგალობელთა გუნდს, რომელნიც ოთხ ხმოვანს კახურ კილოზე გავლობენ, თუმცა ხმების სიკოტავის

გამო, თუ კაცი ძლიერ არ დაუყვიროდა ორი ხმის მტტს ვერ გაარჩევს; მასთან ისიც უნდა აღწერიწოთ, რომ მათ ბევრი საგალობელი სრულიად არ იციან. რაც შეეხება იმერულ სამ ხმოვან გავლობას, რომლის გამშენიერებებსა და ნოტებზე გადაღებას განსწავლულ იმერეთის ენისკოპოსის გაზბრიელის დროს არსებულმა გავლობის აღმდგენლმა კომიტეტმა დიდი შრომა და ხარჯი მოანდომა, რაღაც გაუგებარი მიზეზის გამო თითქმის სრულიად განდევნილია. და იმერულ კილოს მაგიერ კახურ კილოს გავლობას გაიგონებთ აქა იქ. რამდენადაც ვიცი, საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდის დასაქირავებლად ყოფილ წლიდან 1600 მანეთი ეძლევა. ამ ფულად ეხლანდელს მგალობლებზე იმარჯება თურმე არა უმეტეს 400—600 მანეთისა, დანარჩენი ფული კი ტაძრის სხვა საქირავებებს ხმარდება. ხეირიან მგალობელთა გუნდის უყოლობას იმიტა ხსნიან, რომ 1600 მანეთი არ გვეყოფნის. საკვირველი ღოგია; 1600 მანეთი ცოტააო, ამბობენ და იმავე დროს ამ ფულის ნახევარსაც კი არ ხარჯავენ მგალობლების დასაქირავებლად.

ამ სტრიქონების დაწერა გამოიწვია ჩემ მიერ მგალობელთა გუნდის მოსმენამ, რომელმაც განსვენებულ ილია ქვეკვაძის პანაშვიდზე რამდენჯერმე უსახყიდლოდ იგალობა. ამ გუნდს ხელმძღვანელობს ცნობილ ფ. ქორიძის გაწვრთნილი ნამოწაფარი ი. ნიკოლაძე, რომელიც, ეტყობა, გლობაში მტტად დანელოვნებულია. ამ ქამად მის მგალობელთა მუდმივ გუნდს შეადგენს 8—10 კაცი, რომელთაც სამ ხმოვანი იმერული კილო კარგად ქონიათ შესწავლილი. ამ გუნდის გავლობამ ისე დამაინტერესა, რომ სრულიად უსასოამ რამდენჯერმე თავიდამ ბოლომდის მოვისმინე საკათედრო ტაძარში წირვა და პანაშვიდები მხოლოდ იმისთვის. რომ კლობით დამტკბარეყოყავ, და ყოველთვის მეტად ნასიამოვნები დავგრუნდი შინ. თქვენ ვესმით სრულიად ძალ-დაუტანებელი, შეუფერავ შეუკავზავი და შეურყენელი ქართული ხმები, ის სანეტარო ხმები, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ატკობდა ქართველის ყურსა და გულში სასიკეთეს უღვიძებდა. ზოგიერთი საგალობელი მაინც იმდენად მომეწონა, რომ მზად ვიყავი „ხსნ“-თქო, დამეძახნა, მაგრამ გამახსენდა, რომ ტაძარში ვის არ შეიძლებოდა, და თავი შევიკავე. მხოლოდ


უნდა აღვნიშნო, რომ ამ ემად მვალობელთა გუნ-
 დი სტოფა, განსაკუთრებით მეორე ხმები, რაც,
 რასაკვირველია, გლობის სიმშენიერეს ხელს მე-
 ტად უშლის. როდესაც ერთ მვალობელთაგანს
 ვკითხე, ყოველთვის თქვენ არ ვალობთ ტაძარ-
 მეთქი, ასე მიპასუხა: „ჩვენ დიდი სიამოვნებით ვი-
 კისრებთ ვალობას, მაგრამ სულ ტყუილად ხომ
 ვერ ვიშრომებთ; ჯილდოს კი არაფერს გვაძლევე-
 ნო. იმ 1600 მანეთს რომ ჩვენ მოგვცემდნენ, რო-
 მელიც ბგლობლების დასაქირავებლად ეძლევა
 ტაძარს, მშენიერეს მვალობელთა გუნდს შევადგენ-
 დით, რომელშიაც 18—20 კაცი გვეყოლებოდაო!..
 იმერია ყოველად საძლევლო ლეონიდი ჯე-
 როვან ყურადღებას მიაქცევს კათედრის ტაძრის
 ხსენებულ ნაკულუფევანებს და იმ ხარჯს, რომე-
 ლიც გასწივს ვალობის ხმების გადასაღებად უქმად
 არ ჩაარონინებს.

როცა გამოგზავნილი ეკლესია დამოწმებდა, რომ
 გაგზავნილი ეპისტოლე ქეშმარიტად ეკუთვნის მო-
 ციქულს და არა სხვის ვისმე. ეპისტოლეს სინიშ-
 ვილის დასამტკიცებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა
 შედარებას ახლად მიღებული ეპისტოლისას სხე
 ეპისტოლეებთან, როგორც გარკვენი, ისე შინაგანი
 ხსისათით. ამგვარი ბრძანული სიზრვისათვის ვაშო,
 რომლითაც ეკლესია იქცეოდა მოციქულის ნაშა-
 მოების დამოწმებაში, უეჭველია, რომ ოცდა შვი-
 დივე წოგნი ახალი აღთქმის საღვთო წერილისა ნამ-
 დვილად მოციქულების დაწერილია და ამიტომ
 ღვთივ სულიერი და სავალდებულო.

ძველი აღთქმის წიგნთა ღირსების შესახებ
 ქრისტიანული ეკლესია ხელმძღვანელობდა ებრაული
 ეკლესიის გადმოცემით. ხოლო ამ გარდმოცემის
 მოწმობით ებრაელნი სავალდებულო წიგნებად
 სოვლიდნენ იმავე წიგნებს ძველი აღთქმისას, რო-
 მელთაც სოვლის ამავე ღირსებისად ქრისტიანული
 ეკლესია. გარჩევა მხოლოდ იმაშია, რომ ებრაელებში
 რიცხვი სავალდებულო წიგნების ეთანახმებოდა
 ებრაული ანბანის საოების რიცხვს, ე. ი. იყო 22
 ამისთვის ორი, ხან ოთხი წიგნი (მაგ. წიგნები მფეთა;
 ნესტა, მსაჯულთა და რუთისა, იერემიისა წინასწარ-
 მეტყველება; იერემიას გოდებასთან, თორმეტი წიგნი
 წინასწარმეტყველთა) ერთად ითვლებოდნენ. ყველა
 წიგნი-კი რომ ცალ-ცალკე გაეყოთ, იმდენივე
 გამოვა სავალდებულო, რამდენიც ეხლა ქრისტი-
 ანებს აქვთ.

ებრაული გარდმოცემა სავალდებულო წიგნთა
 შესახებ ქეშმარიტია; ეს მტკიცდება მითი, რომ
 გამორჩევა წიგნთა და ჩარიცხვა მათი სავალდებუ-
 ლოდ ხდებოდა თვით წინასწარმეტყველთა დასწრე-
 ბით, მოსე წინასწარმეტყველმა დასწერა რჯულის
 სიტყვები წიგნში, მისცა ლევიტელს და უბრძანა:
 მიიღე წიგნი ესე მგნებათა მათ სჯულისა მის და შედა-
 დეუ მამ გვერდით ვერძო კადანსა მის სჯულისა უფლისა
 დგათს თქვენისა და იყვენ ეგე თქვენ შორის სწავლებლად
 (შესაქმე 31, 26); ასევე მოიქცა ისუ ძე ნავსი (24,
 25) და სამოელ წინასწარმეტყველი (1 მფე. 10, 25);
 უეჭველია ამგვარადვე იქცოდნენ ყველა სხვა წინა-
 წარმეტყველები, როცა თავის ნაწერებს უმატებდნენ
 წინა-მოადგილეთა წიგნებს. თვით ადგილი, სადაც
 ინახებოდნენ საღვთო წერილის წიგნები—კადაბან
 სჯულისა და შემდეგ ტაძარი სოლომონისი, მდევ-

დ. ა.



**საზოგადო ცნობანი საღვთო წერილის
 შესახებ.*)**

საღვთო წერილის წიგნების სავალდებულოდ
 და კერძოდ ჩარიცხვის დროს ეკლესია ხელმძღვანე-
 ლობდა ისტორიული გარდმოცემით ამა თუ იმ
 წიგნის ნამდვილად სამოციქულო ან საწინასწარმე-
 ტყველო შთამოებაზე. ხოლო ქეშმარიტება ამ შთა-
 მოებისა უეჭველია. ავიღოთ მაგალიტად, საღვთო
 წერილის წიგნები, რიცხვით 27, რომლებიც სულ-
 ყველა სავალდებულოდ ითვლებიან. თვით დამწერ-
 ლებმა ამ წიგნთა—მოციქულებმა დიდ ხანს იცოც-
 ხლეს. ცოცხალნი იყვნენ ის პირებიც და საზოგა-
 დობანი, რომელთათვისაც დანიშნულ იყვნენ ეს
 წიგნები. ამიტომ მათ სულ ადვილად შეეძლოთ მალე
 აღმოეჩინათ და ენხილდებინათ, თუ კი შეიტყობდნენ
 რომელიმე ყალიბ წიგნის ფაქტყვლებს ქრისტიანე-
 ბში. გარდა ამისა, მოციქულთა ეპისტოლენი, ერთს
 ეკლესიაში წაკითხვის შემდეგ, ვეზავნებოდნენ მეო-
 რე ეკლესიას; ეს ეკლესია ღებულობდა და კითხუ-
 ლობდა გამოგზავნილს ეპისტოლეს მხოლოდ მაშინ,

*) ის მწკმისა № 20 1907 წ.



ლნი და ლევიტლნი, მკველნი მისნი თავდებნი არიან სავალდებულო წიგნთა შეუქმნიკვლელად შენახვისა.

ზარგელა ენა საღვთო წერადის წიგნებისა. ძველ აღთქმის საღვთო წერილის ყველა სავალდებულო წიგნები დაწერილია ებრაულად, რადგანაც ამ ენაზე ლაბარაკობდნენ დამწერნიც და ისინიც, ვისთვისაც დანიშნული იყვნენ წიგნები. ბაბილონის ტყვეობაში 70 წლის ყოღნის დროს ებრაელებმა დაიიწყეს წმინდა ებრაული ენა, შემოიტანეს ამ ენაში ბევრი ქალდეური და არამეული სიტყვები; ამიტომ ბაბილონის ტყვეობამდე ნაწარმოებ წიგნები წმინდა ებრაულით არიან დაწერილები, ტყვეობის დროისა და მის შემდეგი წიგნები-კი შერეული ქალდეურ-ებრაული ენით. ძველი აღთქმის საღვთო წერილის კერძო წიგნები კი ბერძნულ ენაზე არიან დაწერილები, გარდა მაკაბელთა ჰიროგელი წიგნისა, რომელიც დაწერილია ებრაულად და ესტროს მესამე წიგნისა, რომელიც დაწერილია ლათინურად.

ახალი აღთქმის წიგნები, გარდა მათეს სახარებისა, დაწერილ არიან ბერძნულ ენაზე. ბერძნული ენა საღვთო წერილისა ბევრით განირჩევა სამავალითო—ქლასიკური ენისაგან. ამ ენაში ბევრი ებრაული და არამეული სიტყვებია; ამ ენას ეწოდება ალექსანდრიული და ალექტი (კილო). ვარდა ამისა თავისებურება ახალი აღთქმის ენისა იხსნება მითი, რომ ამ ენით დამოხატულია და გამოთქმული ბევრი მაღალი სასულიერო ტემპარტება, რომელიც არ იცოდა წარმართთა ქვეყანამ.

დაბადების თარგმანება. უმოაგრესი საშუალება წიგნის გავრცელებისა არის გადათარგმნა მისი სხვა და სხვა ენაზე; დაბადებაც ასე გავრცელდა; თარგმანი თვით ებრაელებმა დაიწყეს. ბაბილონის ტყვეობაში მათ მიღწიან დაწვეულთა დედა-ენა, რომ აღარი შეეძლოთ საღვთო წერილის წიგნთა გაგება. ამიტომ საჭირო იყო ებრაულად საღვთო წერილის კითხვის დროს მისი განმარტებაც. აქედან წარმოსდგა ფგრედ წოდებული ტარგუმი. ტარგუმი აწის ქალდეური თავისუფალი თარგმანი საღვთო წერილისა, რომელსაც თან ახლავს განმარტებაც. ტარგუმები შემოიღეს მაკაბელთა დროს. ყველაზე უკეთესია ტარგუმი ინკელფისისა (მოსეს ხუთ წიგნზე) და იფსთანისა (წინასწარმეტყველობაზე); ეს ორივე ტარგუმი ქრისტეს დროსაა შედგენილი.

საღვთო წერილის ყველა ძველ თარგმანთა შორის შესანიშნავია ბერძნული თარგმანი, რომელსაც ეწოდება „თარგმანი სამოცამ ათთა მთარგმნელთა“. ეს თარგმანი დანიშნული იყო იმ ებრაელთათვის, რომლებსაც დედა-ენა დაიწყებოდათ და ბერძნული ენის აღქმასდრიულს კილოზე ლაბარაკობდნენ. ეგვიპტის მმართველის პტოლომეოს ფილადელფის თხოვნით, იერუსალიმელმა მღვდელთმთავარმა ელფაზარმა გაგზავნა ალექსანდრიაში 72 სწავლული კაცი, რომელთაც იცოდნენ ბერძნული და ებრაული ენები და თან გაატანა ოქროს ასოებით დაწერილი ებრაული დაბადება. ამ სწავლულმა კაცებმა გადათარგმნეს ებრაული ენიდან საღვთო წერილი ბერძნულს ენაზე; ეს მოხდა 270 წ. ქრისტემდე. მთარგმნელთა რიცხვზე მიხედვით, ამ თარგმანს ეწოდება „თარგმანი სამოცდა ათ-თორმეტთა“, ანუ საიდელიისთვის „სამოცდა ათთა მთარგმნელთა“. ღირსება ამ თარგმანისა ისაა, რომ სასვებით და მაკაფილო გადმოსცემს ებრაული დედანის აზრს და ალაგ-ალაგ განმარტებს კიდევ მას. ეს თარგმანი LXX ფრად გავრცელებული იყო ურიათა შორის; ამითი სარგებლობდნენ იესო მაცხოვარი და მოციქულნი, როცა იმოწმებდნენ ძველი აღთქმის საღვთო წერილს, ესევე თარგმანი დიდს პატივში და ხმარებაში იყო აღმოსავლეთის ეკლესიაში; ჩვენთვისაც აღიშნულია აქვს ამ თარგმანს, რადგანაც იქედან არის გადმითარგმნილი ქართული დაბადება.

გარდა LXX თარგმანისა ცნობილ არიან კიდევ სხვა თარგმანები საღვთო წერილისა ბერძნულს ენაზე, რომლებიც გაჩნდნენ ქრისტეს შემდეგ; 1) თარგმანი აკვიფასი (პონტელი ურიათი 128 წ. ქრისტეს შემ.), რომელიც ძალიან უახლოვდება ებრაულს დედანს; 2) თარგმანი თაფლოვინისი (2 საუკ. ქრ. შემდეგ), რომელიც თავისუფლად გადმოსცემს ებრაული დედანის აზრს; 3) თარგმანი სვიმპქისი (180 ქრ. შემ.), რომელსაც შუა აღდელი უჭირავს ორს ზემო აღნიშნულ თარგმანთა შორის. რადგანაც სამოცდა ათთა თარგმანი მიიღო ქრისტიანთა ეკლესიამ, ურებმა ექვით დაუწყეს მას ცქვრა და თავისთვის გადათარგმნეს აქ ჩამოთვლილი თარგმანები.

რადგან ქრისტიანობა გავრცელდა ასურეთშიც, საცა ბერძნული არ იცოდნენ, ამიტომ საჭირო გახდა ასურული თარგმანი საღვთო წერილის წიგნებისა;

ყვილაზე უძველესი თარგმანი ასურულს ენაზე არის ზეშიტო, რომელიც ეკუთვნის მეორე საუკუნის დასაწყისს. თვით სახელი ამ თარგმანისა მოწმობს, რომ იგი არის მარტივი, უბრალო, სწორე.


არის კიდევ ძველი თარგმანი ლათინური, რომელიც გაჩნდა ქრისტიანობის პირველსავე საუკუნეში და ლათინული იყო ლათინურად მოლაპარაკე ქრისტიანეთისთვის; ამ თარგმანს ერქვა კიდევ იტალიური, რადგანაც იხმარებოდა იტალიაში. მეოთხე საუკუნეში ნეტარმა იერონიმემ, ებრაული ენის საუკეთესო მკოდნემ შესაწორა ძველი თარგმანი დაბადებისა და გამოსცა თავისი თარგმანი, რომელსაც ეწოდება ვულგატა; ანუ საზოგადო, სახმარებელი. 16 საუკუნეში ტრიდენტის კრებამ მოიწონა ნეტარი იერონიმეს თარგმანი—ვულგატა და სცნო იგი საკანონმდებლოად რომის კათოლიკეთა ეკლესიისთვის. ჩვენთვის აქვს მნიშვნელობა ამ თარგმანს, რადგანაც ვახუშტი ბატონიშვილმა აქედენ სათარგმნა ივლითის და ტობიის წიგნები ქართულად.

საქიროა მოვიხსენოთ კიდევ სამხუთა თარგმანი დაბადებისა. აღიღობობრივი გარდმოცემა სომხურს ენაზე საღვთო წერილის წიგნების გადათარგმნას მიაწერს არქი-ეპისკოპოსს ისაკს (390 440 წ.) და ეპისკოპოსს მესროპს, რომელმაც გამოიგონა სომხური ანბანი (405 წ. ქრ. შემდ.). პირველად სომხურად დაბადება გადმოთარგმნეს ასურულ ზეშიტოდან; შემდეგ კი მესროფის მოწაფეებმა იოანემ და იოსებმა შეიძინეს ეფესოში ბერძნული თარგმანი და იწყეს ახლად თარგმნა დაბადებისა; ზემო აღნიშნულნი მოწაფენი მესროფისა და მოსე ქორენელი გავაზენად იქმნენ ათინაში და აღუქსანდრიაში ბერძნული ენის შესასწავლად; მათ იქაც შეიძინეს საღვთო წიგნები და 450 წლისთვის გაათავეს თარგმანი. ჩვენთვის აქვს მნიშვნელობა სომხურს თარგმანსაც; ამითი სარგებლობდნენ ქართველი მთარგმნელებიც.

ქართული თარგმანი დაბადებისა. ქართველებმა ქრისტიანობა მიიღეს ბერძენებისგან. ქრისტიანული ღვთის მსახურება საქართველოში პირველ ხანებში სრულდებოდა ბერძნულს ენაზე. ქართველებმა მალე იწყეს თან-და-თან თარგმნა საღვთო წერილის წიგნებას. პირველად გადმოთარგმნეს ის წიგნები, რომლებიც უფრო საქირონი იყვნენ ღვთის მსახურების დროს; ამიტომ ძველს ქართულს ხელთნაწერებში ყველა წიგნებზე უფრო მეტი გვხვდება დავითნი

და სახარება. ქართული მატიანეს მოწმობით მე-V საუკუნეში სანდუხტა დედოფლისათვის (408—410) გადათარგმნილ იქნა ქართულად სახარება; ფარსმან მეფემ (542—555 წ.) მისცა ვეაზრის ძვირფასი სახარება. ქართული დაბადება გადმოთარგმნილია ბერძულ LXX თარგმანიდან; ამასთანავე უნდა შეინიშნოთ, რომ თარგმნის დროს ქართველი მთარგმნელები სარგებლობდნენ სხვა თარგმნებითაც, მაგ. სომხურით. წმიდა გიორგი მთაწმიდელის მოწმობით, საქართველოში მის დრომდე რაოდენიმე თარგმანი იყო ხმარებაში—პირველი ძველი თარგმანი, საბაწმინდური, ხანმეტნი და თვით წმ. გიორგისა. იგივე წმ. გიორგი დიდი ქებით ჩხენებს წმიდა ექვთიმეს თარგმანსაც. წმიდა გიორგიმ შპოვა ქართული დაბადება შებღალულად და წარყენილად უმეტერთაგან და შესაწორა იგი. ამ რიგად, ქართული დაბადება გადმოთარგმნილია სრულად მეათე საუკუნემდე; ათარგმნებოდა დაბადება ნაწილ-ნაწილად, სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა პირთაგან, სხვა-და-სხვა დღესასწაულს,—თვით საქართველოში, პალესტინაში, სირიაში, კონსტანტინეპოლში და აიონზე.

(გაგრძელება იქნება).



სახელმწიფო სათათბირო და საბჭო.

მეორე კრება სათათბაროსა. სათათბიროს პირველ კრებაზე 1 ნოემბერს, როგორც მკითხველებმა იცნან, არჩეულ იქნა თავმჯდომარე მეორე კრება მონხა ხუთ ნოემბერს. ეს კრება მოუწდა თავმჯდომარის ამხანაგებ და მდივნის არჩევს. ამ კრებაზე აშკარად გამოიკვეა, რომ მემარჯვენეცხარე ბრძოლას უპირებენ კადეტებს და მომარცხენებს, ესე იგი, მთელ ოპოზიციას. მემარჯვენეებმა ეს ჯერ ერთი იმით დაამტკიცეს, რომ არც ერთი ოპოზიციონერი არ აირჩიეს თავმჯდომარის ამხანაგად და მდივნად და არც მდივნის ამხანაგად აპირებდნენ არჩევას. მეორე—კამათის დროს მემარჯვენეებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ მემარცხენენი უნდა სრულიად გავრკეოთ აქედანაო.

თავმჯდომარის ამხანაგების და მდივნის არჩევას კამათი არ გამოუწვევია. აირჩიეს პირდაპირ თავადი ვოლკონსკი და ბარონი მეიენდორფი. პირ-



ველი მემარჯვენეა, მეორე ოქტომბრისტი. მდინადა პირჩიეს ოქტომბრისტი სინოლინო. მეორე სათათბიროს მდინადა ჩელნოკოვი, რომელმაც აგრეთვე ყუთი დაიღვა, გააშავეს.

შემდეგ გაიმართა კამათი იმის შესახებ, თუ მდინის რამდენი ამხანაგი აერჩიათ, სწორედ ამ კამათის დროს განაცხადეს მემარჯვენეებმა, რომ ოპოზიციას პრეზიდიუმში ადგილი არ უნდა მიეცეთ, რადგან მემარცხენენი სახელმწიფოს წინააღმდეგნი არიანო. მემარცხენეებმა და ზოგიერთა ოქტომბრისტებმა მოითხოვეს რომ მდინის ამხანაგებდა არჩეულ იქმნან ყველა პარტიის წარმომადგენელნი. ბოლოს კრებამ არჩევანი გადასდო შემდეგ სხდომისათვის.

მცირე კამათის შემდეგ დროებით მიიღო კრებამ მეორე სათათბიროს მიერ შემუშავებული საპარლამენტო რეგლამენტი.

მდინის არჩევამდე მემარჯვენეებმა თავმჯდომარეს გადასცეს განცხადება იმის შესახებ, რომ სათათბირომ უქვეშევრდომილესი ადრესი მიართავს ხელმწიფეს, ამ განცხადებას სათათბირო შემდეგ კრებაზე განიხილავს.

სათათბიროს თავმჯდომარის სიტყვის გამო.

სათათბიროში თავმჯდომარის ხომიაკოვის სიტყვამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მემარჯვენენი და ოქტომბრისტები კმაყოფილნი არიან ხომიაკოვის უფერულ სიტყვით, სამაგიეროდ „კადეტები“ ჯავრობენ, ხომიაკოვის სიტყვამ ჩაშალა ჩვენსა და ოქტომბრისტებს შორის მომხდარი შეთანხმებაო. მაკლაკოვმა განაცხადა, ხომიაკოვის სიტყვის შემდეგ მის ამხანაგად ყუთს ვერ დავიდგამო. სანამ სათათბირო გაიხსნებოდა, მაკლაკოვს ლაპარაკი ჰქონია ხომიაკოვთან, წაუკითხავს მისი სიტყვა და მოუთხოვნია ხომიაკოვისგან, რომ მას თავის სიტყვაში უმჯობესად მოეხსენა სიტყვა „კონსტიტუცია“. ხომიაკოვს უარი უთქვამს, ეგ სიტყვა ზოგიერთა წრეებში უსიამოვნებას გამოიწვევსო. მაკლაკოვმა ცხარე უარი გამოაცხადა თავმჯდომარის ამხანაგის კანდიდატობაზე. ხომიაკოვმა რომ ეს გაიგო, ოქტომბრისტებს შეატყობინა, თუ მაკლაკოვს არ აირჩევთ, თავმჯდომარის ადგილს თავს დავანებებო. მე იმითმ მივიღე თავმჯდომარეობა, რომ მაკლაკოვისგან პირობა მქონდა მიღებული, რომ მის ჩემს ამხანაგად იქნებოდაო. ხომიაკოვი გაჯავრებუ-

ლია ოქტომბრისტებზე, მაგრამ ეხლა გვიანდაა: მას ამხანაგებდა ისეთები ამოუჩრჩეს, რომელთაც არ იცინა საპარლამენტო კანონები და ზნე-ჩვეულებანი.

ხომიაკოვის ახლა ებრუნება შესახებ. სახ.

სათათბიროს თავმჯდომარემ ხომიაკოვმა ასეთი აზრი გამოსთქვა ებრაელთა თანასწორობის შესახებ. „ჩვენ ჯერ-ჯერობით ებრაელთა თანასწორობის შესახებ ხმასაც ვერ ამოვიღებთ. განა ეხლა ისეთი დროა, რომ ასეთ უმნიშვნელო საქმეებზე დაესაჯოთ ჩვენი დრო და ძალი? ამ საკითხს არავითარი პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს არც რუსის ხალხთან და არც სახელმწიფოსთან. ებრაელების შევიწროება უნდა მოისპოს, მაგრამ უცებ მისი მოსპობა შეუძლებელია. არ დავმალავ პირდაპირ ვიტყვი: უცებ რომ რუსეთში არც ერთი ებრაელი არ დარჩეს, პირადად მე ძალიან გამეხარებოდა. ებრაელებს საკუთარი მიწა-წყალი არა აქვთ და არც რაღაცნაირ ექნებთ, ამიტომ ისინი ძალაუფლებურად სხვის ხარჯით ცხოვრობენ. ურჩევ ებრაელებს. რაც შეიძლება მეტი თავმდაბლობა გამოიჩინონ და თავი დაანებონ ყვირილსა და ყოყლოჩინობას. ერთ რომელისავე კანონ პრაქტიკის შედგენა ებრაელთა შესახებ შეუძლებელია. საკითხი უნდა დანაწილდეს, დაკუწაწაწდეს და ნაწილნაწილად გადაწყდეს. მე მაინც არ მეჯობა, რომ ესლანდელმა სათათბირომ მოასწორეს და ამ საკითხის განხილვა. პოლონელების შესახებ ხომიაკოვმა სთქვა: „პოლონელებსაც ურჩევ, კრიდნენ მაგარ სიტყვებსა და ბაქი-ბუქს. ამით ისინი რუსის ხალხს უფრო აბრაზებენ და თავიანთ საქმეს კი ოდნავადაც ვერ შეგლიან. პოლონელები რომ თავს დაანებებდნენ ავტონომიაზე ყვირილს, იმაზე უფრო მეტს მიიღებდნენ, ვიდრე ეხლა მიიღებენ“.

რუსეთის განაწინა ყუთზეთა კავშირი.

ასეთი სახელი უწოდეს ახალ კავშირს, რომელთაც დააარსეს სათათბიროში განაპირა ყუთზეთა რუსების წარმომადგენლებმა. ამ კავშირში 50-მდე დეპუტატი. მისი დევიზია — მთლიანობა და განუყოფელიობა რუსეთისა. კავშირის მთავარ მიზანს შეადგენს ბრძოლა პოლონეთის „კოლოსთან“ და პოლონეთის ავტონომიის წინააღმდეგ დანარჩენ საკითხებში ეს კავშირი ემხრობა მემარჯვენე მონარქისტებს, ეროვნულ საკითხში კი იგი თხოულობს არა რუსთა გარუსებას და მათთან ბრძოლას. ამ კავშირის სათავე-

ში უღვას მინსკის დეპუტატი, სამშობლოს მოლატე შვიდტი.

სასკლდეში საბჭოს წარმომადგენელნი. ტელეგრაფმა გვეუწყა, რომ ილია ქავეჯავიძისა და ხომიაკოვის ნაცვლად სახელმწიფო საბჭოს წევრებად აურჩევიათ სობირსკის გუბერნიის წარმომადგენელი კარაოვი და მეშჩერიაკოვი. ამგვარად, რუსეთის თავად-აზნაურობას არ მოუსურვებია, რომ ქართველ ჯარყინებელ წოდებასაც ჰყოლოდა წარმომადგენელი საბჭოში. ეკვი არაა, ჩვენი თავად-აზნაურობის ამომრჩეველნი—თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, თავ. მაგარტონ—დავითიშვილი, თავ. ვლ. მიქელაძე და თავ. ან. ერისთავი—თავის მხრით ეცდებოდნენ, რომ საქართველოს თავად-აზნაურობისათვის არ წყართმათ უფლება და არ გამოერიცხათ წარმომადგენლობისაგან; იქ, სადაც რუსეთის ყოველ გუბერნიის თავად-აზნაურობას ჰყავს რამდენიმე წარმომადგენელი, ელემენტალური სამართლიანობა მოითხოვდა, ორ ქართულ გუბერნიისათვის ერთი ადგილი მიანც მიეცათ. მაგრამ, როგორც სჩანს, რუსეთის „მოწინავე წოდებას“ ღირსად არ უცნია „ინოროდცების“ წარმომადგენლების შერჩენა...

ჩვენ არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევთ სახელმწიფო საბჭოს და არც იმ ფაქტის მნიშვნელობას ვაზვიადებთ, რომ ჩვენი თავად აზნაურობის უფლება შეჭკვეცეს; მეორეს მხრით, იმასაც მოველოდით, რომ „ქეშმარიტ რუსების“ გამარჯვების ხანაში „ინოროდცების“ წარმომადგენლობას შეზღუდავენ. მაგრამ ჩვენი „მოწინავე წოდება“, აღბად, ძალიან გულ-ნატყენი დარჩება, როცა ამ ემზავს ვაიგებს. როგორ? ხუთი წლის წინად საქართველოს რუსეთთან შეერთების იუბილეი იღვესასწაულეს და ერთხელ კიდევ საქვეყნოდ მუხლი მოიყარეს ძღვევამოსილ რუსეთის წინაშე საქვეყნოდ და სამუდამოდ მონობა აღუთქვებს და ეხლა ერთ ადგილსაც არ აძლევენ, ისიც დახავსებულს დაწესებულებაში?! ეს პირდაპირი შეურაცხყოფაა... მაგრამ, მაგარიც ისაა, რომ ყურმოკრილ მონას ასე ეკადრება: ისტორიაც ამას ვვასწავლის; ჩვენ „მოწინავე წოდებას“-კი დღემდის ჰგონია, რომ, რაც მეთ მონობას გამოიჩენს, მით მეთ პატივისცემასაც დაიმსახურებს...

მოწყალე სამართალი.

არის მოთხრობა, თუ როგორ მოდიოდა თავის სამშობლო საფელში სამსახურიდან დაბრუნებული სალდათი დაგვიანებული შემოდგომით. მიუხელოვან იგი თავის სახლს; ორი-სამი ვერსის მინძილი-ლა დარჩა. უცებ ამოვარდა ბუქი, მოვიდა თოვლი, დაჰმერა ქარმა, დააბორილა და გარშემო ჩამოაბნელა. დაეკარგა საბარალოს გზა. თითქოს უნდა მისულიყო სოფელში, მაგრამ გარშემო სულ მინდორია, მინდორი. დიქანცა საწყალი: ფხვები ეკცევა, თითქოს რაღაც ეწვევა მიწისკენ და რაწამსაც მიწვევა, საუკუნო ძილთ დაიძინებს. ნუთუ სამშობლო სოფლის გვერდით უნდა გაიციუნოს იგი? ყვირის საბარალო, მაგრამ ამ ყვირილზე მართო ქარიშხალი აძლევს პასუხს თავისივე გაშვებული ღმუილით

საღდათი ძნელათ აბიჯებს თოვლის ზენებზე; იმედ-გადაწყვეტილი ხელ-ახლად ყვირის, მაგრამ მშველელი არავინა სჩანს. ილაჯ-გაწყვეტილი მიჯდა თოვლის ზენებზე; თავი დაბლა დაჰკიდა, და ტანში თითქოს სითბომ გუარა. ვადაინაბა გვერდზე და მიწვა. თოვლი რბილად ეცემოდა მას პირისანზე, დნებოდა და წყლად ჩამოდიოდა. მაგრამ მერე აღარ გადნა და მთლად დაჰმარა. ქარიშხალმა და ყინვამ მიაძინეს საბარალო და თოვლმა გადაათარა მას თეთრი რბილი სუღარა.

გათენებისას მისი ძის ცოლი შევიდა გამურში ძროხების მოსავლელად. მანამ მოსწველიდა, მანამ საქმელს მისცემდა, კიდევ გათენდა. გამოიხედა ქალმა ფანჯრიდან და შეამჩნია, რომ იქვე ახლოს ბოსტანში სანაგვეზე ვიღასაც ფხვები აუშვერია-გაშოქტა ქმართან. მოვიდნენ ორივენი, გადახერტყეს თოვლი, ნახეს კაცია შინელში. დახედეს პირის-სახეს; ძმა—საღდათი. წაიშინეს ხელები თიქში ქმარმაც და ცოლმაც და დაიწყეს ტირილი.

—ჩვენა საყვარელი, სახლამდის სამიოდ ხაყენი-ლა დაგჩენია. ეძებდი ძმისთან თავ-შესაფარს, და სიკვდილი კი დაგხვდა ძმის ქობთან.

თურმე, ქმარსაც და ცოლსაც გაუგონიათ დამე, რომ ვიღაც ყვიროდა ძალზე, მაგრამ დაზარებიათ თბილი ლოგინიდან ადგომა და ქარიშხალზე კარში გასვლა.

ძვირფასო მკითხველო! ხანდახან არ გაგიგონია

შენც, რომ ვილაც ყვირის, და შველას თხოულობს? ჩვენ გარშემო ხომ მუდამ მრავალია ხალხი: ზოგი სიმართლის გზას აცდენია, ზოგი სიმთვარღვეში იღუპება, ზოგი გარყვნილობის მორევში იხრჩობა, — და ხშირად შეწუხებულები ყვირიან, როგორც ის თოვლში გაყინული, და შველას თხოულობენ; და რადგანაც ხშირად ხდება, რომ არაფერ არა შევლის, ამიტომ ჩვენი ძმა იღუპება ჩვენი სახლის გვერდზე.

ჩვენი ცხოვრება ვაგს დიდ მანქანას, ბევრნი არ ბორბლებიანს. როგორც-კი ადამიანი ცოცხალი ასცდა, პატარა შეტომა დაუშვა, მაშინვე ჩავარდება ბორბალში და დასახიჩრდება. როდესაც კაცს დაამტრევენ ფერდებს, ან ხელ-ფეხს, — იმას შეუძლიან მალე მიიღოს შველა. მაგრამ როდესაც კაცს ცხოვრება ამტრევენ და სახიჩრებს იმის სულს, როდესაც ყოველგვარი მაცოფრება და ცუდი მფაღითი აფუქებენ სუსტ ადამიანს, როდესაც ბიწიერება, როგორც ავაზაკი, სახიჩრებს კაცის გულს; სცარცვამს, იტაცებს მისგან სიმართლეს და სიკეთეს, — მაშინ ხალხი ერთი მეორეზე ჩქარა გარბის მისგან, რომელსაც განსაკუთრებით ესაჭიროება შველა მომეტებულად. მინამ სხვას ვისმეს, ესაჭიროება ძმური თანაგრძნობა და სიყვარული შემწვეობა.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც შორეულ აღმოსავლეთში ზარბაზნები გრიალებდნენ, სისხლი იღვრებოდა, მაშინ იქ, ომის ადგილს, იგზავნებოდნენ ბლომად ექიმები და მოწყობების დები, რომელსაც უნდა მოეყოლოთ დაჭრილებისათვის. უიმიოლო ჩვენში ხომ შეუძლია ომი გამართული; ომი ბოროტებისა და საიკეთის, სინათლის და სიბნელის შორის. სიბნელე აღჩიობს სოფელს, ლოთობა სწამლავს ხალხს, ქარხნები და ქალაქები რყებიან მას; და ჩვენი უმცროსი ძმა, ცხოვრებიდან გაღაზული, სწვეს დავიწყებული. ის ელის, როდის მოვა მასთან ძმა მოწყობებისა, მოწყალებს სიმართლეს, რომელიც დააკმაყოფილებს მის სულიერ წყურფოს, მის ტანჯვა-მწუხარებას შეამსუბუქებს სიყვარულის ზეთით, განკურნავს მის ყოველ უძლურებას. და ეს უმცროსი ძმა შორის სადმე კი არ არის ჩვენგან; იგი თვითონ ჩვენ სახლის გვერდზეა, ჩვენ გვესმის მისი სასოწარკვეთილი ყვირილი. შხალდა არ გვიდა ჩვენ თბილი ლოგინიდან ადგომა და ქარიშხალზე კარში გამოასვლა.

მფ. იოანე ჯუგაძე.

წაირი იმ. გომართელს

ბატონო ივანე გომართელო! თქვენს წერილს „ნაწყვეტები წარსულიდან“, რომელიც „ცისკარში“ იბეჭდება, სიამოვნებით ვკითხულობ. მაგრამ ერთმა რამემ კი გამაკვირვა: თქვენ სწერთ:

„ბატონ-ყმომის დროს გავრცელებული იყო ევროპაში კანონი პირველ ღამისა. კანონი მდგომარეობდა იმაში, რომ ყმა რომ ცოლს შეირთავდა, ბატონი უფლება ჰქონდა, პატარძალთან დაწოლიყო პირველ ღამეს“-ო. და „ეს კანონი საქართველოშიაც შემოვიდა შემდეგ“-ო.

რასაც ევროპის შესახებ ბრძანებთ, ის სწორედ ისტორიული სიმართლეა, მაგრამ რაც საქართველოს შეეხება ის კი მუცხოვა. როდის და რომელ საუკუნეში ყოფილა ეს არა ქრისტიანული მოვლენა დაკანონებული? მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ სხვებსავე განზრახ ცილს არ შესწამებთ ჩვენს წარსულს და არც უმეტრებით რაფს ჩაიდნით. აღბად გიჭირავთ ხელში რამე უტყუარი, დამამტკიცებელი საბუთი. მე კი, უნდა გამოვტყვე, ბევრი სხვა და სხვა საუკუნოების გუჯარ-საბუთები და ისტორიული ნაკვეთები მიკითხავს, მაგრამ არ-სად არ შეეყრივარ, რომ არა ქრისტიანული მოვლენება ყოფილიყოს ჩვენში დაკანონებული. და მიტოვებ უმოჩინოვსად გთხოვთ, სცეთ პატივი ჩემს მოხუცებულობას და მიმითითოთ იმ წყაროზე, რომლითაც თქვენ სარგებლობთ, რომ მეც დავრწმუნდე და თქვენთან ერთად შევიზიზლო ის წარსული, როცა ამისთანა ამბები ჰხდებოდა პასუხის მომლოდინე უმოჩინოვსად.

ჭაჭაია.

ეს წერილი, დასტამბული ვაგთ „ისარში“, ჩვენ უცვლელად ვაძღვებულეთ აქ, რომ ჩვენის მხრით პასუხი ვაგსეთ როგორც ბ. აკაკის იენე ბ. ი. გომართელს. ჩვენ ძლიერ გვაკვირვებს ბ. აკაკის აზრი იმის შესახებ, რომ ვითომ ი. გომართელმა ცილი შესწამის ჩვენს წარსულს და ან უმეტრებით რამე ჩაიდნისოო. ი. გომართელმა საზოგადოარი ცილი შესწამა არა თუ წარსულს, არამედ ეხლანდელ ქართველებს, როცა ისინი საქვეყნოდ ველოურ ხალხზე უმეტრს მხეცებენ გამოიყვანა, „სოფლის სცვენში“ თავიანთ შეილებს მკვლელებად აღიარა. მე ვგონებ, რომ ეს ცილის წამება უარესია ბ. აკაკისაგან მოყვანილ ცილის წამებაზე. ჩვენ ძლიერ გვაკვირვებს



აკაცის აზრი, რომ ი. გამართელი ვითომ უკოდინარობით არას ჩაიდენს. ნუ თუ კიდევ საეჭვო არის ვისთვისმე, რომ გამართელი უკოდინარობით და გამოუცდელია ბნირად ვარდება შეცთობაში? თუ ასე ფიქრობს ვინმე მაშ მისი ნაწერები ჯერეთ არ წაუკითხავს და მისი მოქმედებისათვის ყურადღება არ მიუქცევია!..

მაგრამ რა, განა ცოტანი არიან ი. გამართელის გარდა თავის ვაზოსაჩენად საზოგადოებრივ სწამებზე წინ წარსულ დროებას და ეხლანდელ საბოლოო ქართველობას?.. მაშ სხვა რა დროებით მიიტკიპონ ყურადღება ამ პაწაწინა კაცუნებმა!..

დ. დ.

ეპისკოპოსის ზრიგობი.

12. ოქტომბერს, ხანგრძლივი და საშინელი ავადმყოფობის შემდეგ, მარტვილის მონასტერში, გარდაიცვალა ეპისკოპოსი გრიგორი. მისი სამსახური არქიმანდრიტობაში და ეპისკოპოსობის ხარისხში ჩვენში თითქმის ყველამ კარგად იცის და ამისათვის აქ დაწვლილებით მისი სამსახურის აღწერას არ გამოუდგებთ.

სრულიად რუსეთის უწმიდესმა სინოდმა ერთ დროს განიზრახა სამეგრელოს ეპარქიის გაუქმება და შეასრულა კიდევ ეს აზრი იოანეის ექსარხოსობის დროს. სამეგრელოს ეპარქია მიაწერეს იმერეთის ეპარქიას. საქორო იყო იმერეთის ეპისკოპოსისათვის დაენიშნათ ქორ-ეპისკოპოსი. ექსარხოსმა იონიკემ და სინოდმა სსარგებლო კანდიდატად დაინახეს არქიმანდრიტი ბესარიონი და ის აკურთხეს მარტვილის კათედრაზე ეპისკოპოსად იმ აზრით, რომ მარტვილში კი არ ესრულდება თავისი მოვალეობა, არამედ ქუთაისში ყოფილიყო გაბარიელ ეპისკოპოსთან და ერთად ეწირათ ხოლმე ქუთაისის საკრებულო ტაძარში როგორც ეს რუსეთში ჩვეულებად აქვს შემოდებული...

მოვიდა სხვა ექსარხოსი არქიეპისკოპოსი პავლე. არ მოეწონა წინა მოადგილის პოლიტიკური განზრახვა შესახებ ორი ეპარქიის ერთად შეერთებისა. ის ამტკიცებდა, რომ ეპარქიების შეერთება კი არ არის ხელსაყრელი ჩვენთვის, არამედ დანაკარგება არის და მარტვილიდან კათედრა ფოთში

გადაიტანა და საკუთარი ეპისკოპოსი მოითხოვა. დიდის რწმუნისა და მიწერ-მოწერის შემდეგ ეპისკოპოსობა შეხვდა, აწ განსვენებულ, ეპისკოპოს გრიგორის. სინოდმა ვერ დაინახა შესაძლოდ აღუქმანდრე ეპისკოპოსის დანიშნვა, რომელიც ამ დროს მსახურებდა გურიის ეპარქიაში. სად უნდა უნდა წაეყვანათ ეპისკოპოსი ბესარიონი, აღარ იცოდნენ. ბოლოს გამოინახა სინოდმა საშუალება და დიდი სწიდან, გაუქმებულ ალავერდის, კათედრაზე დანიშნეს. საქორო კი არ იყო, მაგრამ—ისე მარქაფად, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე განსვენებულ ეპისკოპოსს ბესარიონი. ამ დროს ეპისკოპოსი ბესარიონს არ მისცევს საკუთარი ეპარქია, რადგან უსწავლელი კაცია და ეპარქიის მოვლა არ შეუძლიაო. მაგრამ წარმდიდგინეთ, ბიწრის შემდეგ, როცა ღონით და გონებითაღ უფრო დაუძღურდა მაშინ სსარგებლოდ დაინახეს მიეცათ საკუთარი ეპარქია და ფლამბინეს წარდგინებით მისცეს იმერეთის ეპარქია საბატონოდ. ბატონობდა კიდევ 1895 წელსამ 1900 წლამდე.

მოვიდა სხვა უცხო ექსარხოსი. იმისი აზრად და შეხედულება სულ სხვა აღმოჩნდა. ეპისკოპოსი გრიგორი გარდაიყვანეს მოსკოვში სინოდის კანტორის წვერად, დაუნიშნეს სამი ათასი მანეთი და საცხოვრებლად სიპონის სატკროპოვიალიონის მონასტერი. აქ აღედგინებოდა დაიწყეთ და ბოლოს მისცეს ნება სამი ათასი მანეთის პენსიით სამშობლოში დაბრუნებულიყო, მაგრამ ეცხავრა ველათის მონასტერში. ბოლოს აღუსრულეს თხოვნა და მარტვილში მისცეს საცხოვრებელი ადგილი. აქ განსვენებული ეპისკოპოსი ნიადაგ შეუპყრიბილი იყოსასტიკი გულის ავადმყოფობით და ბოლოს წყალმანკის სწულეებით გარდაიცვალა.

დაკრძალვა მოხდა მარტვილის მონასტერში 18 ოქტომბერს. დაკრძალვის დღეს დაესწრნენ გურიამეგრელიის ეპისკოპოსი გიორგი და იმერეთისა—ლეონიდი, ზოგიერთი ნათესავები მისი და სხვა საზოგადოება. მწირველი იყვნენ მღვდელთ-მთავრები, სამი არხიმანდრიტი, ორი დეკანოზი და მრავალი სამღვდელითა. წირვის და ანდერძის შემდეგ სიტყვები წაგმართეს მ. შ. იოანე ბოშობიძემ, გიორგი გვამყარბა და სხვებმა. მღვდელმა გ. გვიგამკორმა სიტყვა შემდეგი სიტყვა:

„უცლ უსამღვდლოცსო შეუფეო! ღვთის განგე-



ბამ გარგუნათ თქვენ თქვენ საყვარელ სამშობლოში მწყემთ-მთავრობა. თქვენ, როგორც გულკეთილმა მღვდელთ-მთავარბან, განურჩევლად წოდებისა, ხარისხოვნებისა და პიროვნებისა, დღიდანვე თქვენს საწყსოში შამოსვლისა ყველას გაგვიღე თქვენი გულის კარი და გვითხარეთ, ამა მე თქვენი სულიერი მამა და თქვენ ჩემი სულიერი შვილიყო. ამით თქვენ ყველას მოგვეცი მიზეზი თქვენს გულში გვეფათურებია ხელგები. ჩვენ თქვენი ასეთი გულუხვი ნდობა ვერ გავამართლეთ და ვერ შეგიწყვეთ ხელი, ცხოვრების ბრძოლის ველზედ, ერთად ერთი მიგატოვეთ. არა თუ ხელი ვერ შეგაწყვეთ და ვერ დაგეზმართ ასეთ დიდ ასპარეზზე, როგორცაჲ შეადგენდა თქვენი დანიშნულება—ახლად შეერთებულ ვრცელ ენარხის მოვლა-გამგეობაში, პირ იქით თქვენი საქმე იმ ზომაზე დაეყენეთ, რომ უკანასკნელ დროში შორეულ ცივ ქვეყანაშიაც გაგამგზავრეთ, სადაცა გული დაგიწყლულდათ, ჯანმთელობით დაქვეითდით და თქვენს სამშობლოში დაბრუნდით მხოლოდ მისთვის, რომ დაგესრულებიათ სიცოცხლე-მწუხარება და გლოვა ჩვენ, თორემ თქვენ გიხაროდეს მეუფეო! გიხაროდეს მისთვის, რომ თქვენ ყოველივე კაცობრიული ცოდვა და ხორციელნი უბედურებანი აქვე დასტოვეთ და აწ წარსდგებით სამსჯავროს წინაშე სულით ნათელი, როგორც მღვდელთ-მთავარი.

ყ-დ სამღვდელო! ამ თქვენი საყვარელი და ნაშრომ სავეანისათვის, სადაცა თქვენ უკანასკნელად სული განუტრევეთ და თქვენი გვაში საუკუნოდ მიზარეთ, ამა მარტილისათვის, შევედრეთ წმ. მოციქულთა ანდრისა და სიმეონ კანანელს, რათა ისინი მეოხ იყვნენ წინაშე ღვთისა განმტკიცებისათვის, პირველ საუკუნიდანვე მათ მიერ ქრისტიანობის გასავრცელებლად აღჩეულის სამოციქულო ადგილისა ამის—მარტილისა; რომ, როგორც წინეთ ისევე დიდებით და საღმრთო მადლით მოსილ იქნეს ადგილი ესე და კვლავაც ეს სამოციქულო ადგილი იქნეს სულიერ საზრდოდ, აწ დაქვეითებულ ქრისტიანობრივი სარწმუნოების აღმადგენელად და განმამტკიცებლად. აგრეთვე მეუფეო! შეაფედრეთ ღედა ღვთისას მისი წილობილი საქართველო, რომ მადლითა თვისითა მან დაიცვას სარწმუნოების და ზნეობის უმეტეს დაქვეითებისაგან ჩვენი ხალხი.

დასასრულ ჩემო ხელდასმელო მეუფეო! 11

წელწალი ვიძახებ თქვენთან წმ. ტრაპეზის წინაშე და ამ ხნის განმავლობაში ერთჯერაც არ შემინინავს ჩემს უღირს მსახურებაში ოდესმე თქვენი შუბლი ჩემზედ შეხრილიყოს, მე, გარდა მადლობისა და სიყვარულისა, იქნება როგორც უძლურმა და უღირსმა მღვდელმა რაიმე სიტყვით, საქმით ან მოქმედებით გაწყენინეთ, გხოვთ და გვედრებთ, სულგატელობითა თქვენითა მომიტეოთ და შეინდოთ შეცოდებანი ჩემნი. ვევედრები ღმერთსა საუკუნო ნეტარება დაგიმკვიდროს და საუკუნოდ იყოს სხენება შენი“.

სიცოცხლეშივე მოიმზადა განსვენებულმა საფლავი და კუბო. უკანასკნელ წელში მხედველობა დაეკარგა და ვეღარ ხედავდა.

ვინც დააკვირდება განსვენებულის ცხოვრებას ბევრ ქუა გონების დასარიგებულ მეცნიერებას შეიძენს, თუ როგორ უნდა იცხოვროს კაცმა ქვეყანაზე, რას უნდა ევლტოდეს და რას უნდა აერიდოს.

დამსწრე.

საზღაპრო ბანკის სტატისტიკა

ოფიციალურ ცნობებით 1905 წ. 3 ნოემბერიდან 1907 წ. 1 აგვისტომდე საგლებო ბანკმა მთელ რუსეთში განიხილა და დააბირა ყიღვა:

მამული	5880	
ზომით	4,516,982	ღეს.
ფასი მამულისა	499,766,349	მან.
ფასი ერთი დესიატინისა	110 მ. 50	კაპ.
		ბანკმა იყიდა:
მამული	1545	
ზომით	2,266,167	ღეს.
ფასი მამულისა	244,146,444	მან.
ფასი ერთი დესიატინისა	108	მან.
		ბანკმა მიჰყიდა გლეხებს
მამული		
ზომით	1,081,596	ღეს.
ფასი ფამულისა	138,319,616	მან.
ფასი ერთი დესიატინისა	128	მან.



ახალი ამბები და ქვენი ქვეყნები

* * გუშინ 6 ნოემბერს, ემიზიონში დიდის ამბით დაკრძალეს სომეხთა კათალიკოსი მკრტირი I ხრიმიანი. ტფილისიდან დასაფლავებაზე დასასწრებლად წავიდნენ ქართლ-კახეთის თავდაზნაურობის წარმომადგენელი მახრის მარშალი თავადი პავლე თუმანიშვილი, ქალაქის თავი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი ხმოსნებით, წარმომადგენელი სხვა და სხვა საზოგადო, საქველ-მოქმედო და განმანათლებელ საზოგადოებებისა და მრავალი კერძო დაუტაცოები და პირები. ტფილისში გუშინ გადახდილ იქნა პანაშვიდები ყველა სომხურ ეკლესიაში და დაკეთლ იქნა სომხური დაწესებულებანი, სკოლები, მალაზიები. სომხურ გაუფოებს აუარებელი სამგლოვიარო დევეშები მოსლით სხვა და სხვა ადგილებიდან. სხვა და სხვა დაწესებულებათ უკვე დაუდგენიათ, რომ შესდგეს მკრტირი ხრიმიანის ფონდი. ტფილისში დიდის ერთსულოვნებით იგლოვეს სომხებმა. ვანქის ტაძარს დილიდანვე ათასობით მიაწყდა ხალხი. გადაიხადეს წირვა და პანაშვიდი, ვანქის უზარმაზარმა გალავანმა ხალხი ვერც კი დაიტია. პანაშვილს დაესწრო ნამესტნიკი, მისი მეუღლე და ქალი, ნამესტნიკის თანამგმომიცივენი, გუბერნატორი, სპარსეთისა, ოსმალეთისა და სხვათა კონსულები, ქალაქის გამგეობა, ხმოსნები, წარმომადგენელი სომხურ ეროვნულ დაწესებულებათა. პანაშვილის შემდეგ როგორც ტაძარში, ისე გალავანში სიტყვები წარმოითქვა, სიტყვები წარმოსთქვენ არხიანდრიტმა ფერემმა, ე. თოფჩიანმა და სხვებმა. მიუხედავად აუარებელ ხალხისა, წესიერება არ დარღვეულა.

* * ქვემარტივ რუსებში მაინც კერპობენ და ამტკიცებენ, რომ თვითპყრობელობა ოდნავადაც არ შერყეულაო. ეხლანდელ სამინისტროს პოლიტიკას ისინი უწოდებენ ოპორტუნულ პოლიტიკას, რადგან სტალინი და საზოგადოდ ეხლანდელი აღმინისტრაცია არც კონსტიტუციონურია და არც თვითპყრობელოვითა. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოსო, — გაიხიხინა ქვემარტივები და ბრძოლას უცხადებენ სამინისტროს. ამ საკითხის გადასაწყვეტად ქვემარტივ რუსთა საპარლამენტო ფრაქციას გადაუწყვეტია შევეითოს

მინისტრებსა და გუბერნატორებს, რომელ წესწყობილებას ემხრობითა. თუ პასუხად მიიღეს, რომ რუსეთში ეხლა კონსტიტუცია არსებობს, ქვემარტივი რუსები ეცდებიან ხელმწიფეს დაუტაცოთ გაუგზავნონ და სთხოვონ მინისტრებისა და საზოგადოდ მთელ აღმინისტრაციის გამოცვლა.

* * სინოდმა არქიმანდრიტს მიხეილს სასჯელად ვალაამის მონასტერში გაგზავნა გადაუწყვეტია. მიხეილი სინოდის დადგენილებას არ დაემორჩილა და „სტარობობრიადცების“ სარწმუნოება მიიღო. მალე მას ეპისკოპოსად დანიშნავენ.

* * შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუღუმშავებია ახალი კანონ-პროექტი შესახებ განსაკუთრებულ წესებისა. ამ კანონპროექტის ძალით სრულიად ყოველგვარი გაძლიერებული და სახვედრო წესები უნდა მოიხსოს და დარჩეს მხოლოდ განსაკუთრებული წესები. ამ წესების შემოღება შეიძლება მხოლოდ 3 თვის ვადით, მიუხეზი მისი შემოღების უეჭველად უნდა იქმნეს დასახელებული, უნდა შეაფილდ იყო ანსახლვრული საზღვარი და უფლებანი ამ წესებისა და სხვა-

* * აგერ მესამე წელიწადია, რაც სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებას მოვლიან. ეხლა, როგორც სატახლო გაუფოები იუწყებიან, ეს კრება კიდევ გადაუღვიათ ორის წლით, ე. ი. 1909 წლამდე.

* * 23 ებარქიას გადაუწყვეტია მომავალ საეკლესიო კრებას ბოიკოტი გამოუცხადონ. მიუხეზი ის არის, რომ სინოდის მიერ შემუშავებული საარჩენო წესი დიდ უპირატესობას აძლევს ბერებსა და ეპისკოპოსებს, საერო სამღვდლოების უფლებანი კი შეეკიცლია.

* * უკვე გამოცხადებულია კანონ-პროექტი შესახებ არკეთ ვაპრობის აკრძალვისა ფინლიან. დიაში. სავაპრო ხელშეკრულების კომისიამ აღნიშნა, რომ რუსეთის მთავრობა ხელს შეუშლის ამ კანონის განხორციელებას. მისი აზრით კანონ-პროექტში უეჭველად უნდა შეეტანათ მოთხოვნილებები, რომ რუსეთის მთავრობამ უცხო სახელმწიფოებმან სავაპრო ხელშეკრულების დადების დროს უცხოელებს აუკრძალოს ფინლიანდიაში არყის შემოტანა.

მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვით ფინლიანდიის საერო სასწავლებლებისთვის გადადებულია



2,848,000 მარკა. ამ თანხაში მასწავლებლების ჯამიერი არ შედის.

* * 18 ოქტომბერს ვოლოგდში „ქემშარიტ რუსებმა“ ადგილობრივ გუბერნატორის თანხლებით დიდის ამბით აკურთხეს თავიანი დროში. ეკსლესიიდან პრაოცესია საერო კანონის გალობით ქუჩაში გავიდა და ქალაქისკენ გაიწია. პრაოცესიის შეხვდა ინტენერო სკრაიბინი, რომელმაც ქუდი არ მოხაზა. მის მივარდა ერთი ქემშარიტი რუსი და ცემა დაუწყა, რატომ ქუდი არ მოხაზეო. სკრაიბინამ ყვირილი ასტება, მაგრამ პოლიციამ ყურადღება არ მიჰქცია, თუმცა იქვე იდგა და ყველაფერს თავის თვლით ხედავდა. სკრაიბინმა მეორე დღეს გუბერნატორთან იჩივლა, მაგრამ... გუბერნატორმა მეორე დღეს ასეთი ბრძანება გამოსცა: „რადგან სკრაიბინის პრაოკატორულ საქციელს შეიძლება გამოეწვივა უწყსოება, ამიტომ ინტენერ ტენხოლოგს სკრაიბინს ერთი თვით ვაპატიმრებ“. სკრაიბინი პეტერბურგში გაიქცა. გუბერნატორიც თან გაჰყვა, ეწვია სტალიბინს და... თავი გაიძარცა.

* * 8 ნოემბერს ბ.ნ. ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით მოხდა კრება ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, ხალხი ბლომად დაესწრო. ს. გორგაძემ წაითხა რეფერატი ეგრედ წოდებულ ორ მეფობის ხანაზე საქართველოში. ორ მეფობის დროს, საქართველოში ცნობით, გუბერნატორის პირველ საუკუნის (ქრისტ. დაბ. შემდეგ) პირველ ნახევარს. რეფერენტმა მოიყვანა ისტორიული ცნობები. იგი ამტკიცებდა; რომ ორ მეფობა არა ყოფილა აღნიშნულს ხანაში და ცნობა შეცდომით არის შეტანილი „საქართველოს ცხოვრებაში“. რეფერენტი, კლასიკურ მწერლების მოწმობით, ამტკიცებდა; რომ აღნიშნულ ხანაში საქართველოში იყო ერთი მეფე, ხოლო მეორე, უდიდესი პირი სახემწიფოები, იყო მეფისავე საგვარეულოდან, რომელიც ასრულებდა ჯარის უფროსისა და უმაღლეს მსაჯულის თანამდებობას. შეიძლება მემბრანებმა შეცდომით ეს მეორე პირიც მეფედ აღიარა. რეფერენტმა კამათი გამოიწვია. ზოგი ამტკიცებდა ორ მეფობას, ზოგი არა თავ. პ. თუმანიშვილმა საჭიროდ სცნო, ასეთ რეფერატების მოკლე შინაარსი გაზრთების შემწეობით წინდაწინვე ეუწყათ ხოლმე წევრებს, რათა ისინიც მოემზადნენ და კამათი უფრო ნაყოფიერი იყოს. ამასთან

თავ. თუმანიშვილმა სთქვა, ჩემის ხარჯით გამოცემულ საინტერესო გამოკვლევებსაო. კრებამ დაავალა გამგეობას წინდაწინვე შეადგინოს ხოლმე კონსპექტი წასაკითხავად დანიშნულ რეფერატებისა. ამ დღეს სხვა რეფერატებიც უნდა წაეკითხათ, მაგრამ დადგინდა და სხვა დროისთვის გადასდეს.

* * შინაგან საქმეთა სამინისტრო შეეცოთა გუბერნატორებს, შეიძლება თუ არა ეხლავე გამოიყენებოდნენ და განსაკუთრებულ დაცვის წესების მოხსნა? გუბერნატორთა უმრავლესობამ უპასუხა, ეხლავე ამ წესების მოხსნა არამც და არამც არ შეიძლებაო.

* * ერვის“ ანგარიშით ოქტომბერში საოლქო სამხედრო სასამართლოებმა სიკვდილით დასჯა ვადაუწყებურს 117 კაცი. ამავე ხნის განმავლობაში ძარცვა-გლეჯისა და ექსპრობრიაციის დროს მოკლულ იქმნა ჯარისა და პოლიციის მიერ 199 კაცი, დაჭრილ იქმნა 143 კაცი. დაცემა და ძარცვა ყოფილა 187, გაუტაცნიათ 400,000 მანეთი. გაუძარცვავთ 27 სახაზინო საარყე დუქანი, 11 საფოსტო განყოფილება და 9 კანცელარია მამასახლისებისა. 32 ალაგას აღმოუჩენიათ ყუმბარებისა და იარაღის საწყობი, 11 ალაგას—საიდუმლო სტამბა და ბინა.

ქურნალ-გაზეთის დევნამ არ იკლო. ამ ხნის განმავლობაში დაუჯარიმებიათ 24 გაზეთი 18,300 მანეთით, დაუკეტიათ მრავალი გაზეთი, ყველაზე მეტი—მოსკოვისა, ტფილისისა და ადესაში. გამოცემულ იქნა მრავალი სავალდებულო დადგენილება წინააღმდეგ გაზეთებისა. ზოგან გაზეთებმა აუკრძალეს წერა სტუდენტებზე, ზოგან—ხოლერაზე, ზოგან—„ქემშარიტ რუსთა კავშირზე“. კიევის გაზეთებს აუკრძალეს წერა საავადმყოფოებზე.

* * გადარუჯი ეპისკოპოსი. პეტერბურგის მიტროპოლიტმა ვლადიმოსტოკის ეპისკოპოსს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „ამჟორის ეპისკოპოსმა ვლადიმერმა გარყვა კონსტიტორიის ყველა წევრი, თავისი მდივანი, ხოლო კონსტიტორიის მდივნები პოლიციის დახმარებით გაიყვანა. მიბრძანდით ბლაგოვეშჩენსკში და გაიგეთ მიზეზი“.

* * გახშირებულმა ძარცვა-გლეჯამ, ექსპრობრიაციად წოდებულმა, საზოგადოებაში დიდ უკმაყოფილებამ გამოიწვია; კაცს ვერ ნახავთ ისეთს, რომ ამ სავანზე თავის გულის წყრომა არ გამოა-

ცხადოს; უთუოდ ეს მიიღო ქალაქის გამგეობამ მხედველობაში, როცა ვადასწყვიტა მიმართოს გენერალ-გუბერნატორს თხოვნით, ნება მოგვეცე გავმართოთ მოქალაქეთა კრება, რომელმაც უნდა ითათბიროს ექსპროპრიაციისა და ექსპროპრიატორთა შესახებ და გამოსცენოს საშუალება მათთან საბრძოლველად. კრება ვანზრახულია, თუ გ-გუბერნატორმა ნება დართო, საკვირაოდ, 11 ოქტომბრისათვის.

* * * სათათბიროში 50-ზე მეტი მღვდელია. აქედან ერთი ეკუთვნის შრომის ჯგუფს, ათი — ოქტომბრის ტემს, დანარჩენნი მემარჯვენენი არიან. მღვდლებმა და ეპისკოპოსებმა ცალკე ჯგუფი დააარსეს მათ სურთ აგარაულ, საგლეხო და სექკულესიო საკითხების გარჩევის დროს ერთად იმოქმედონ. მღვდლები ამბობენ, მეორე სათათბიროში 40 პოლონელს ხშირად ვადაუწყვეტით ამა თუ იმ საკითხის ბედ-იღბალს, ესლა კი მღვდლები დაიჭერენ მათ ადგილსაო.

* * * ტფ. საუნივერსიტეტო კომიტეტი უკვე შეუდგა თადარიგს უმოდლეს სასწავლებლისთვის ადგილის შესაძენად. ამ აზრით კომიტეტის საფინანსო და სატექნიკო კომისიებმა დაათვლიერეს საბურთალოზე ხიმშიაშვილის ადგილი.

* * * სტუდენტთა კრებაზე დასწრებისთვის დასაჯეს და დაჯარიმეს; 2 — ორი კვირის დაპატიმრებით, 4 — სამი დღით, 658 — სამ-სამი მანეთით, 19 ქალი — ხუთ-ხუთი მანეთით.

* * * ალექსანდრე ეპისკოპოსის გარდაცვალების გამო „ისრის“ რედაქციამ მიიღო სამგლოვიარო დღეები: ოზურგეთიდან — თავდაზნაურობისა და ქალაქის თვით მართველობისაგან; გორიდან — გორის სასულიერო სასწავლებლისაგან; ვანჯიდან — ადგილობრივ ქართველებისაგან.

* * * თერთმეტ ამ თვეს გარდაცვალა 4-დ სამღვდლო ალექსანდრე შიო მღვიმი მონასტერში. დაკრძალვა მისი იქნება 15 ამ თვეს შიო-მღვიმის მონასტერში. ერთი კვირის წინად მისი მნახველი კაცი ვერ წარმოადგენდა მის გარდაცვალებას. რომ იტყოდნენ წინეთ წმიდანებს, რომ მიიძინათ სწორეთ ისე იყო გარდაცვალება მათი მეუფებისა. შემდეგ ნომერში მოვყვანთ მის ბიოგრაფიულ ცნობებს.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობაში საწიწმუნოებასა და კეთილ- ჩხენობაზე.

მეათე მცნება.

არა გული გითქმოდეს ცოდნისათვის მოყვისა შენისა, არა გული გითქმოდეს სახლისათვის მოყვისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა. არცა მხველისა მისისა, არცა ხარისა მისისა. არცა კარაულისა მისისა, არცა ყვდლისა საცხოვარისა მისისა. არცა ყვდლისა მისთვის, რაიცა იყოს მოყვისა შენისა.

ასე უფლებით სდებს ღმერთი ხელუხლებლობის ბუქედსა ადამიანის ხორციელ საკუთრებასა.

ცა და დედა-მეფა შეადგენენ ღვთისა-შემოქმედლის სამკვიდრებელსა, მის საკუთრებასა. მათი შინა-არსი იცავს ღვთის ჰაზრთა, რომელნიც ეკუთვნიან ღმერთსა და არა სხვას ვისმეს. საკუთრება მუნწყოვთა ღვთისა, როგორც პიროვანი არსებისა. — ადამიანი არის სახე და მსგავსება ღვთისა. ადამიანის სულსა ნაწილადვეი აქვს, ცნობილი ზომით, თვისებანი ღვთისა-შემოქმედლისა- ადამიანიც გრძობს თვის პიროვნებასა. ეს თვისება მფლობელმპყფის მას სულიერ ქვეყანაში: აქ ადამიანს აქვს ჰაზრი და მოქმედება, რომელნიც შეადგენენ მის, და არა სხვის ვისმეს, საკუთრებასა. ხოლო რადგანაც ადამიანი ცხოვრობს და მოქმედებს ნივთიერ ქვეყანაშიცა, ამიტომ იგი იძენს აქ ნივთიერ ქონებასა, რომელიც საჭიროა ხორციელი ცხოვრებისთვის და რომელიც შეადგენს მის საკუთრებასა. — ცხადია, რომ ადამიანის საკუთრება როგორც სულიერი, ისე ნივთიერი უნდა იყვეს შეუხებელი გარეშე პიროვანს. ამას მოითხოვს ადამიანის პიროვნობის



ღირსება, ისე რომ ხელის ხლება მის ქონებისა იმავე დროს არის შესება მის პიროვნობისა. ამგვარად, ადამიანის ნივთიერ საკუთრებასაც, როგორც სულიერსა, საფუძველი აქვს თვით ადამიანის ბუნებაში: ადამიანი, როგორც პიროვნად არსება, უეჭველად უნდა იყვეს მფლობელი ნივთიერი საკუთრებისა, შეტისა ანუ მცირედისა, თანხმად თვით შემოქმედის ნებისა.

მართალ არს ღმერთი, ქეშმარიტია მისგან ნაჩვენებნი ცხოვრების გზაცა, მაგრამ კაცი იჩენს თავებობასა, შორდება ამ გზასა. დგება სიცრუვის გზაზე; სადაც აცხადებს, თვისივე საუბედუროდ, მხოლოდ უღმართობასა და მასთან მრავალთა სხვათა ბოწიერებათა. — ამის მიზეზი მდგომარეობს ნამდვილად იმაში, რომ კაცი მოკლებულია თვის ბუნების ცნობასა, როგორც უკვდავისასა, მოკლებულია იგი უმაღლეს თვით შეიგნებასა, რომლის საშუალობითაც მხოლოდ შეიძლება მიხედეს და გაიგოს კაცმა ქრისტე მაცხოვრის სწავლა და ადამიანის ღირსება.

ქრისტე მაცხოვარმა, რომელიც არის უზენაესი სული, თვის განხორციელებითა, განკაცებითა და ჯვარცმითა დაუმტკიცა კაცობრივობასა, რომ ადამიანი ამ ქვეყანაში არის ღრთებითი მცხოვრები, ხოლო საუკუნო მემკვიდრე უტყისა, — ამიტომ კაცმა უნდა იცხოვროს ამ ქვეყანაში ისე, რომ დაიმკვიდროს საუკუნო ნეტარი ცხოვრება ღვთის შემოქმედთან, — ამას უნდა ელტვიდეს ადამიანი იმ გზით, რომელიც ნაჩვენებია ქრისტე მაცხოვრისგან: სარწმუნოებისა და კეთილზნობის გზითა. ხოლო ნივთიერი ქონების შეძენება, ჯეროვანი სახსრითაც, ვერ მიანიჭებს ადამიანსა ღვთის სასუფიერესა. როდესაც ადამიანი, როგორც გონიერი და ზნეობითი არსება, ღრმად შეიგნებს ამ ქეშმარიტებათა, მხოლოდ მაშინ იგი უარპყოფს იმ ცრუ სწავლასა და ღარიბებასა რომელნიცა ნივთიერი ქონების მოსაპოვებლად ურჩევნად ადამიანსა კაცის მკვლელობასა; ქურობასა, მტაცებლობასა, ავივაზაკობასა და მძლავრობასა.

ვინ იტყვის, რომ გაქირვებულ ადამიანს შეეძლოს არ უნდა? — უეჭველად უნდა. უნდა არა ბოროტების გზითა, არამედ გონიერული სახსრითა. კეთილ გონიერებამ უნდა შეიგნოს, რომ საწყალი კაცი დაზარალებულია სულიერადაც და ხორციელა-

დაც, იგი ორივეს მხვრივ მიშველი და მშიერ-მწყურვლია, ორივეს მხრივ მას უნდა აღმოაჩინდეს შევლა ქრისტიანული განათლებითა და ნივთიერი შემწეობითა. ამის სახსარი უნდა გამოძებნოს მართებლობაში, ეკლესიაში და საზოგადოებაში. მხოლოდ მათი კეთილი სურვილითა და თანაგრძობითა ეშველება საწყალ, დაზარალებულ ადამიანს.

ეს მართალია, მაგრამ ისიც მართალია, რომ ადამიანი, მღიადრი თუ გლახაკი, მქონებელი თუ უქონელი, მოვალეა იღვეს ღვთისგან ნაჩვენებ კეთილმოქმედების გზაზე, მოვალეა მტკიცედ სწამდეს რომ —

არის, არის ღმერთი, არსებათ ერთი, საშვირფავანი ღრუბლით ხმავანი: „შე ვარ უფადა, და ძალია ძალი, ღმერთა შენი, უფლის გამწენა. თუნდა ზენასა, ნუ რას იკურნებ, ნუ რას აღმერთებ. ჩემს სხელს, ე ვადს მშვობელს, ეგრძალებოდე, ღმობიერობდე. იუგე მშობელია, ღვთისა მღვდელია; იუგე ერთგულია, მორჩილი სული.	შშობელთ ზატევეც — მით ვადი მივეც, — რგორც სიტუვითა, ისე საქმითა. ნუ მოჭკავე კაცს, შენს მიუფასს: ზატევეც მასს, ვით შესს თავს. ნურცა ამრუშებ, მით ნუ ძმუნწებ: მრუშების სული არს წარწევენდელია. ნურცა იზარავ, ცუდს ნუ იზარავ; შრომა გიუვარდეს ღირსად მიგანდეს. ცალი არ სწამო მტრბისისა კამო: ნუ მოჭკავეც სესას, ნურცა შესს თავს.
---	--

სხვის საკუთრებას,
თფლს და შრომას,
ნურცა შეიმურებ.
ნურცა იკუთნებ.“

ო. ბაღვაში.

რედაქციის პასუხი.

ბ. შლ. ძიკუსს. საზოგადოდ ფოსტები ამ ბოლო ხანებში ყურადღებას არ აქცევენ ჟურნალ-გაზეთების ხელის მომწვერთა დაქმყოფი-ლებს. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ გა-ზეთი მოგდის დაბეჭდილი ბანდეროლით და ფოსტაშივე იკარგება ალბად.

მწაფელ ზირეს. ხუნდაძის ტიბიოკონი არც ჩვენ და არც თვითონ ხუნდაძეს არა აქვს. ხელახლა არ ბეჭდავს რადგან პირველი გამოცემის ფულები ვერ ამოვიგეო...

მღ. ე. კანდღავას. მწარე გამოცდილებამ დაგვიმოტიკიცა, რომ აღარ ვუნდოთ ცარიელ სიტყვას. უფულოდ წიგნებს არავის უგზავნიო.

- 25) Дѣтскія болѣзни. Профес. Вагинскаго.
- 26) Лечение нумысомъ и нефиромъ. Д-ра Бубиса.
- 27) Насморкъ и его лечение. Проф. Брегенга.
- 28) Лечение водой. Профессора Глакса.
- 29) Причины женскихъ болѣзней. Проф. Говица.
- 30) Геморрой. Признаки, причины, лечение.
- 31) Гигиена волосъ. Книга для всѣхъ.
- 32) Спинная сухотка. Проф. Читидинга.
- 33) Болѣзни сердца. Профессора Лаге.
- 34) Болѣзни почекъ. Проф. Сенатора.
- 35) Экзема и почесуха. Проф. Вольфа.
- 36) Гигиена одежды. Д-ра Орлова.
- 37) Брюшной тифъ. Профес. Цимсена.
- 38) Физиологiя человѣка. Проф. Фредерика.
- 39) Южный берегъ Крима. Д-ра Орлова.
- 40) Среднероссiйскiе курорты.—Старая Русса, Славяньскъ, Друскеники, Липецкъ и др.
- 41) Диета при разстройствѣ желудка. Пр. Вольфа
- 42) Тучность. Профессора Ируста.
- 43) Гигиеническiе консервы и кондитерскiя издѣлiя. Д-ра Орлова.
- 44) Лечение воздухомъ, лечение солнцемъ Пр. Киша.
- 45) Леченiе. Проф. Лихтенштейна.
- 46) Гимнастика какъ методъ леченiя. Д-ра Эфрузи.
- 47) Болѣзни зубовъ и полости рта. Проф. Шефа.
- 48) Скарлатина. Профессора Фирорда.
- 49) Болѣзни горла. Профес. Розенберга.
- 50) Свѣтолеченiе. Профессора Нилса.

50 КНИГЪ
4000 СТР.
4000 РИС.

НАРОДНОЕ ЗДРАВIЕ
Серiя популярно-научныхъ
и медицинскихъ книгъ.

Цѣна за 50
книгъ 5 руб.
съ достав. и
перес.

- 1) Половая жизнь женщины. Д-ра Кларуса.
- 2) Исторiя естественной любви. М. Нордау.
- 3) Психологiя поцѣлуя. Ломброзо.
- 4) Психологiя женщины. Патрика.
- 5. О рожденiи дѣтей желаемого пола. Шенка.
- 6. Гигиена менструацiй. Профес. Фюрста.
- 7) Болѣзни легкихъ. Профес. Эйгерсона.
- 8) Что такое чума? Очеркъ В-на.
- 9) Падучая болѣзнь. Профессора Говерса.
- 10) Этика половыхъ отношенiй. Г. Свенсера.
- 11) Половыя отравленiя человѣка. Стоквема.
- 12) Любовь. А. Шоенгаузера.
- 13) Эристика или искусство спорить. Его-же.
- 14) Гигиена цѣломудрiя. Д-ра Корнига.
- 15) Алкоголизмъ. Профес. Бунге.
- 16) Астма. Профессора Бриссо.
- 17) Какъ не толстѣть и какъ избавиться отъ дородства дѣтей. Д-ра Зальцштейна.
- 18) Корь, краснуха и вѣтряная оспа.
- 19) Морфинизмъ. Профессора Бургарда.
- 20) Налендаръ беременности. Д-ра Дедюлина.
- 21) Малая хирургiя. Проф. Вольцендорфа.
- 22) Болѣзни желудка. Проф. Боаса.
- 23) Философiя и гигиена ѣды. Проф. Вилоуса.
- 24) Исторiя. Профессора Говерса.

Всѣ 50 книгъ вышли и высылаются подписчикамъ. Цѣна за всѣ 50 книгъ съ пересылкой 5 руб. Въ отдѣльной продажѣ книги стоятъ свыше 20 р. Требования адресовать; контора „НАРОДНАГО ЗДРАВIЯ“, С.-Петербургъ, Троицкая ул.; 11.

შ ი ბ ა ა რ ს ი.

სალიტერატურკო განმეოფილება: მწარე ფიქრები, სოფლის ხეცისა. —კართული სექკლეტისო გალობა ქუთაისიში, დ. ა.—საზოგადო კნობანი საღვთო წერილის შესახებ.—სახელმწიფო სთობთბირო და საბჭო.—მოწყალე სამარტელო, (მღ. გ. პეტროვის თხზულებიდან). თარგმ, მღ. იოანნე ლუკანოვს.—წერთი იგ. გომართუსს, დ. დ.—ეპისკოპოსი გრიგოლი, დამწერესი.—საღვთებო ბანკის სტატისტიკა.—ახალი ამბები და შენიშვნები.

საზავლო და მცნობიერობა ქრისტიანობისი სარწმუნოებასა და კათოლიკუნობაზე: მეფთე მცნება, ი. ბალუევის.—რედაქციის პასუხი.—განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ლაშაშიძე, 15 ნოემბერი, 1907 წ.

სტამბა ჟურნალის „იწყემისი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. დამბაშიძისა) ყვირილთა საკუთარ სახლში.